შპს „ჯორჯიან ექსპრესი“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

სარჩევი

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....3-4

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....5-6

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....7-14

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2018 წელი
ნეტო ამონაგები		**19,765,871**
საქონლის გაყიდვიდან		-
მომსახურების გაწევიდან	3	19,660,525
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-
სხვა		105,346
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		**(12,612,874)**
საწყისი მარაგები		163,528
მარაგების შესყიდვა		992,738
გადამუშავების დანახარჯები	4	11,630,306
საბოლოო მარაგები		(176,698)
საერთო მოგება		**7,152,997**
სხვა შემოსავალი		-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(3,772,323)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(522,427)
საპროცენტო შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯი (-)		-
იჯარის ხარჯი (-)		(135,222)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	5	(1,019,301)
სულ საოპერაციო ხარჯები		**(5,349,273)**
საოპერაციო მოგება		**1,803,724**
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები (-)		-
მარაგები (-)		-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)		-

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	208,468
მიღებული დივიდენდები	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**2,012,192**
მოგების გადასახადი (-)	-
მოგება/(ზარალი)	**2,012,192**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	**-**
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	**2,012,192**

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	**8,384,443**
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(927,368)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში კაპიტალის სხვა ცვლილებები	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**9,469,267**

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-12-18	31-12-17
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	3,799,117	3,928,698
სავაჭრო მოთხოვნები	7	3,392,116	3,245,195
გადახდილი ავანსები		-	-
მარაგები		176,698	163,528
მზა პროდუქცია		-	-
სხვა		176,698	163,528
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		182,940	138,011
ბიოლოგიური აქტივები		-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-
გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		10,932	10,932
ძირითადი საშუალებები	8	2,422,224	2,423,925
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		**9,984,027**	**9,910,289**

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები		704,649	1,680,285
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები	9	(189,889)	(154,439)
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		**514,760**	**1,525,846**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	10	5,000	5,000
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		9,464,267	8,379,443
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		**9,469,267**	**8,384,443**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**9,984,027**	**9,910,289**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯორჯიან ექსპრესი “(ს/ნ 201954965) რეგისტრირებულია #2/4-308 1995წლის 26 დეკემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, წერეთლის გამზირი #105, შპს „ჯორჯიან ექსპრესი“-ს მესაკუთრეა: ეკატერინე არველაძე (პ/ნ 01013001927) 100-%; კომპანიის დირექტორი არის პაატა სარიშვილი (პ/ნ 01009003054). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საერთაშორისო და შიდა გადაზიდვა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს და მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისიწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავლიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან

დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გმომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

► მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

► მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

► ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

► დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან

► ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებებობი	5%
მანქანა-დანადგარები	10%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული

სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	2018 წელი ლარი
მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	**19,660,525**

4. გადამუშავების დანახარჯი

	2018 წელი ლარი
გადაზიდვის ღირებულება	10,602,365
სატერმინალო მომსახურება	551,353
ტვირთის მომსახურება	11,609
დაზღვევა	287,027
საწყობების საიჯარო ქირა	180,952
	11,633,306

5. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018 წელი ლარი
ქონების გადასახადის ხარჯი	27,175
ავტომომსახურების ხარჯი	205,953
ბანკის საკომისიოს ხარჯი	30,960
საკანცელარიო ხარჯი	29,272
კომუნალური ხარჯი	27,736
კომუნიკაციის ხარჯი	108,919
მივლინების ხარჯი	106,573
საკონსულტაციო ხარჯები	79,373
რეკლამის ხარჯი	25,902
სხვადასხვა ხარჯი	377,440
	1,019,301

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,982,304	1,696,769
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,732,301	1,944,806
ეროვნული ვალუტა სალაროში	84,512	287,123
	3,799,117	**3,928,698**

7. სავაჭრო მოთხოვნები

	2018 წელი ლარი	2017 წელი ლარი
მოთხოვნები	3,392,116	3,245,195
	3,392,116	**3,245,195**

8. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**0**	**722,188**	**3,306,437**	**837,804**	**4,866,429**
შემოსვლები	110,255	79,910	348,995	41,102	**580,262**
გასვლები	0	0	(121,191)	0	**(121,191)**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**110,255**	**802,098**	**3,534,241**	**878,906**	**5,325,500**
ცვეთა					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**0**	**234,886**	**1,745,670**	**461,948**	**2,442,504**
ცვეთის დანარიცხი	0	44,190	320,556	157,681	**522,427**
გასვლები	0	0	(61,655)	0	**(61,655)**
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**0**	**279,076**	**2,004,571**	**619,629**	**2,903,276**
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**0**	**487,302**	**1,560,767**	**375,856**	**2,423,925**
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**110,255**	**523,022**	**1,529,670**	**259,277**	**2,422,224**

9. საგადასახადო ვალდებულებები

	2018 წელი	2017 წელი
	ლარი	ლარი
საბაჟო ვალდებულება	(22,655)	(27,595)
დღგ-ის ვალდებული	49,017	61,945
ქონების გადასახადი	675	6,307
ერთიანი სახაზინო ანგარიში	(216,926)	(195,096)
	(189,889)	**(154,439)**

10. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 5,000 ლარს და მას სრულად ფლობენ დამფუძნებლები.

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 10 აგვისტოს.

შპს „ჯორჯიან ექსპრესი“-ს

გენერალური დირექტორი: -----------------------------/ პ.სართიშვილი/